## საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება №01–08/46

05 სექტემბერი 2012 წ ქ. ბათუმი

*„2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებისა და ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 3 აგვისტოს №01–08/32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე–13 მუხლის საფუძველზე,

*ვბრძანებ:*

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებისა და ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის2012 წლის 3 აგვისტოს №01–08/32 ბრძანებაში. კერძოდ, მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2012 წლის 27 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე“.

2. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. ბრძანება ძალაშია 2012 წლის 4 სექტემბრიდან;

**რექტორი, პროფესორი** **ა. ბაკურიძე**